გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 97
2024 წლის 12 ივლისი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და ”გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო,

ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის სხდომის დღის წესრიგის პროექტი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე

დანართი N1

1.„გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.ასმათ ტალახაძე/

2.„გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

3.„გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტობუსების გაჩერების ადგილების განსაზღვრისა და ავტობუსების გაჩერების ადგილებზე საგზაო ნიშნებისა და საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების განთავსების თაობაზე“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 იანვრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

4.„სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების სასწავლო-სააღმზრდელო სისტემის მოქმედების წესებისა და სამუშაო რეჟიმის დებულების დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის №75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.გიორგი გოგშელიძე/

5.“სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის თაობაზე” განკარგულების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

6.„გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

7. ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 9 თებერვლის N17 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

8. ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 9 თებერვლის N18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

9.„გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან (ს/კ 66.45.21.238) 37 კვ.მ–ის პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

10.„გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სს ,,ოპპასთვის'' (ს/კ 248429598), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

11.„გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

12.„გორის მუნიციპალიტეტის ქონების სს „სილქნეტისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

13.„ქალაქ გორში, გურამიშვილის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

14.„გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში, ახლადმოწყობილი ცენტრალური გზის დასაწყისში მე-2 ქუჩაზე (მე-2 და მე-20 ქუჩების კვეთაზე) ამკრძალავი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

15.„გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახრისში საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მიმდებარედ საგზაო ნიშნების და „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

16.„გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2023 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

17.„გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების 2023 წლის ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

18.„ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ანა ფერაძის სახელობის სამხატვრო სკოლის“ 2023 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიშის შესახებ“ ინფორმაცია;

/მომხს.გიორგი გოგშელიძე/